არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის - საქართველოს საპატრიარქოს წმინდა თამარ მეფის სახელობის უნივერსიტეტის რექტორის ბრძანება

№033/01 2017 წლის 12 ოქტომბერი ქ. თბილისი

ა(ა)იპ საქართველოს საპატრიარქოს წმინდა თამარ მეფის სახელობის უნივერსიტეტის ძირითადი საგანმანათლებლო ერთეულების აკადემიური უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამების ხარისხის განვითარების მექანიზმის შესახებ

საქართველოს კანონის - „საქართველოს სამოქალაქო კოდექსის“ 35-ე მუხლის, ა(ა)იპ საქართველოს საპატრიარქოს წმინდა თამარ მეფის სახელობის უნივერსიტეტის წესდების მე-14 მუხლის პირველი ნაწილის, მე-3 ნაწილის „ლ“ პუნქტისა და იმავე მუხლის მე-4 ნაწილის შესაბამისად, **ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ:**

1. დამტკიცდეს ა(ა)იპ საქართველოს საპატრიარქოს წმინდა თამარ მეფის სახელობის უნივერსიტეტის:
ა) სწავლების ხარისხის განვითარების შესაძლებლობების შეფასების მექანიზმები დანართი №1-ის შესაბამისად;
ბ) საგანმანათლებლო პროგრამის შეფასების კრიტერიუმები დანართი №2-ის შესაბამისად;
გ) სასწავლო კურსის შეფასების ფორმა სტუდენტის მიერ დანართი №3-ის შესაბამისად;
დ) სასწავლო პროცესის შეფასების ფორმა კადემიური პერსონალის მიერ დანართი №4-ის შესაბამისად.
2. ბრძანების შესრულება დაევალოს ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის კოორდინატორს.
3. ბრძანების შესრულებაზე კონტროლს განვახორციელებ პირადად.
4. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.
5. ბრძანება ამოქმედდეს ხელმოწერისთანავე.

პროფესორი, არქიმანდრიტი ადამი
(ვახტანგ ახალაძე)

დანართი №1

სწავლების ხარისხის განვითარების შესაძლებლობების შეფასების მექანიზმები

უნივერსიტეტში მოქმედებს ხარისხის უზრუნველყოფის სისტემა, რომელიც ითვალისწინებს „დაგეგმე-განახორციელე-შეამოწმე-განავითარე“ ციკლს.

„დაგეგმე- განახორციელე-შეამოწმე-განავითარე“ ციკლი ხარისხის უზრუნველყოფის სისტემის ერთ-ერთი ცნობილი თავისებურებაა. ის გულისხმობს ხარისხის უზრუნველყოფის სისტემის მუშაობის შემდეგ სქემას:

პირველ ეტაპზე **(„დაგეგმე“)** უნდა დაიგეგმოს საკუთარი სამუშაო-განისაზღვროს საქმიანობის რომელი ასპექტები, რომელი სტრუქტურები და პროგრამები რა თანმიმდევრობით, ვის მიერ და რომელი კრიტერიუმების მიხედვით იქნება შეფასებული;

მეორე ეტაპზე **(„განახორციელე“)** უნდა განხორციელდეს დაგეგმილი შეფასება წინასწარ შეთანხმებული კრიტერიუმებისა და და გრაფიკის მიხედვით;

მესამე ეტაპზე **(„შეამოწმე“)** უნდა იყოს ჩართული კონტროლის მექანიზმები, თუ რა მუშაობს და რა არ მუშაობს, და შესაბამისად, მოიძებნოს მიზეზები;

საბოლოო ეტაპზე **(„განავითარე“)** უნდა შეჯამდეს შედეგები, განისაზღვროს ნაკლოვანებების მიზეზები და მათი აღმოფხვრის მიზნით შემუშავებულ იქნეს სათანადო რეკომენდაციები; ნაკლოვანების არსებობის შემთხვევაში დაისახოს არსებული დამაკმაყოფილებელი ვითარების შენარჩუნების მექანიზმები.

შეფასების მოსამზადებელი ეტაპი - ეს პროცესი თავის მხრივ რამდენიმე საფეხურს მოიცავს:

– შეფასების კრიტერიუმების განსაზღვრა შესაფასებელი ობიექტის მიხედვით;
– შემფასებლების განსაზღვრა და საჭიროების შემთხვევაში მომზადება;
– შეფასების პროცედურის შემუშავება;
– შეფასების შედეგების ანალიზის ფორმის შემუშავება;
– შეფასების შედეგების გამოქვეყნების/პრეზენტაციის წესის შემუშავება.

საგანმანათლებლო პროგრამების (შემდგომში: პროგრამა) ხარისხის უზრუნველყოფის შიდა და გარე შეფასება მოიცავს:

– საგანმანათლებლო პროგრამების შეფასებას;
– სასწავლო პროცესის შეფასებას;
– სამეცნიერო მუშაობის შეფასებას;
– სწავლების ადამიანური და მატერიალური რესურსებით უზრუნველყოფის შეფასებას;
– პროგრამის განვითარების პროცესში დაინტერესებული მხარეების (დამსაქმებლები, აკადემიური პერსონალი, სტუდენტები, კურსდამთავრებულები) აზრის და დამოკიდებულებების კვლევას.

საგანმანათლებლო პროგრამების შეფასების სისტემა

საგანმანათლებლო პროგრამების (კურიკულუმის) და მისი სტრუქტურული ელემენტების - მოდულებისა თუ ცალკეული სასწავლო კურსების პროგრამების (სილაბუსების) შეფასებისათვის არსებობს ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურების შემდეგი სახის დოკუმენტაცია:

– საგანმანათლებლო პროგრამის (კურიკულუმის) ფორმა;
– საგანმანათლებლო პროგრამების შემუშავების ინსტრუქცია;
– კურიკულუმის შეფასების ფორმა;
– სილაბუსის ფორმა;
– სილაბუსის შეფასების ფორმა;
– საგანმანათლებლო პროგრამების წარდგენისა და დამტკიცების წესი.

კურიკულუმისა და სილაბუსებში აუცილებლად უნდა აღინიშნოს:

– პროგრამის მიზანი;
– პროგრამის შედეგი (ე.წ. სწავლის შედეგი);
– პროგრამის/კურსის მოცულობა;

– სწავლების ფორმატი, მეთოდები;
– სასწავლო მასალა;
– პროგრამაზე მიღების/სასწავლო კურსის არჩევის წინაპირობები;
– შეფასების წესი და მეთოდები.

პროგრამების შეფასებისას ყურადღება ექცევა ზემოთ აღნიშნულ ასპექტებს შორის თანხვედრას, ანუ რამდენად შეესაბამება სწავლის შედეგები პროგრამის მიზნებს, რამდენად შესაფერისია სწავლების მეთოდები დასახული მიზნების მიღწევისათვის, რამდენად ადეკვატურია შეფასების მეთოდები სწავლის შედეგების გაზომვისათვის და ა.შ.

პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევის გასაუმჯობესებლად რეკომენდირებულია შემდეგი რაოდენობრივი და თვისებრივი ინდიკატორების გამოყენება:

– უნივერსიტეტი ყოველწლიურად ამზადებს თვითშეფასების ანგარიშს და წარუდგენს სსიპ განათლების ხარისხის განვითარების ეროვნულ ცენტრს (გარე შეფასება);
– დარგობრივი და ზოგადი კომპეტენციების ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩოსთან და დარგობრივ დოკუმენტთან შესაბამისობაში მოყვანა;
– კლევის შედეგების პროგრამაში ასახვის ხარისხის შემოწმება და მისი შესაბამისობა საკანონმდებლო და საუნივერსიტეტო მოთხოვნებთან;
– პროგრამის განხორციელებაში ჩართული აკადემიური პერსონალის, მოწვეული სპეციალისტებისა და მასწავლებლების გამოკითხვის შედეგები;
– დამსაქმებელთა შეფასება;
– პროგრამის კურსდამთავრებულთა გამოკითხვის შედეგები;
– პროგრამაში მონაწილე სტუდენტების გამოკითხვის შედეგები;
– პროგრამაში მონაწილე სტუდენტების აკადემიური მოსწრების მაჩვენებელი;
– პროგრამაში მონაწილე სტუდენტების სხვა პროგრამაზე გადასვლის მაჩვენებელი;
– უნივერსიტეტის სხვა პროგრამებიდან აღნიშნულ პროგრამაზე გადმოსვლის მსურველთა რეგისტრირებული განაცხადების რაოდენობა;
– სხვა უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებებიდან აღნიშნულ პროგრამაზე გადმოსვლის მსურველთა რეგისტრირებული განაცხადების რაოდენობა;
– პროგრამაზე სწავლის მსურველთა რეგისტრირებული განაცხადების რაოდენობა (სამაგისტრო და სადოქტორო პროგრამების შემთხვევაში);
– პროგრამაზე რეგისტრირებული სტუდენტებისა და ამავე პროგრამის კურსდამთავრებულთა თანაფარდობა;
– პრაქტიკის/სტაჟირების გავლის შემდგომ იმავე ობიექტზე სტუდენტთა დასაქმების მაჩვენებელი;
– პროგრამის კურსდამთავრებულთა დიპლომის საშუალო ქულა (GPA);
– სახელმწიფო სასწავლო გრანტის მქონე სტუდენტების რაოდენობა;
– სწავლების შემდგომ საფეხურზე ჩარიცხული სტუდენტების რაოდენობა;
– გაცვლით პროგრამაში მონაწილე სტუდენტების/პროფესორ მასწავლებლების რაოდენობა
– პროგრამის მონაწილე სტუდენტების პროგრამის პროფილის მიხედვით დასაქმების მაჩვენებელი;
– პროგრამის მონაწილე სტუდენტების პროგრამის არაპროფილურად დასაქმების მაჩვენებელი.

უნივერსიტეტში პროგრამის შეფასებას ახდენს უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური. პროგრამის შეფასება ხდება რაოდენობრივი და თვისებრივი ინდიკატორების ურთიერთშეჯერებისა და ანალიზის საფუძველზე.

პროგრამის შიდა და გარე შეფასების შედეგად უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური შეიმუშავებს კონკრეტულ რეკომენდაციებს პროგრამის განხორციელების და სწავლის შედეგების მიღწევის შემდგომი სრულყოფის მიზნით. რეკომენდაციები წარედგინება ფაკულტეტის საბჭოს.

სასწავლო პროცესის შეფასების სისტემა

ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის ძირითადი ამოცანაა, სასწავლო პროცესის შედეგების ანალიზის საფუძველზე დაადგინოს, რამდენად ადეკვატურად მიმდინარეობს სწავლება, გამოავლინოს პრობლემები და დასახოს მათი აღმოფხვრის გზები.

სასწავლო პორცესის უმთავრეს შედეგს და შესაბამისად, მის ყველაზე უფრო ფართოდ აღიარებულ ინდიკატორს სტუდენტების აკადემიური მოსწრება წარმოადგენს. ცხადია, აკადემიური მოსწრების ანალიზის გარდა, სასწავლო პროცესის შეფასებისას მნიშვნელოვანია პროცესში მონაწილე ყველა მხარის - აკადემიური პერსონალის, ადმინისტრაციისა და სტუდენტების, რიგ შემთხვევებში დამსაქმებლების და კურსდამთავრებულების-გამოკითხვა

სტუდენტების აკადემიური მოსწრების ანალიზის საფუძველზე შესაძლებელია შემდეგი სახის ინფორმაციის მოპოვება:

– საგანმანათლებლო პროგრამისა და ცალკეული კურსების სირთულის ხარისხი;

– შეფასების გამოყენებული მეთოდების ადეკვატურობა;

– აკადემიური პერსონალის პედაგოგიური თვისებები;

– სტუდენტების მომზადების დონე.

ამგვარი ანალიზი რეგულარულად უნდა ჩატარდეს თითოეული ფაკულტეტის მიერ ყოველი სემესტრის დასრულებისას, რადგანაც ის უმნიშვნელოვანეს ინფორმაციას გვაწვდის სასწავლო პროგრამების, პროფესორ-მასწავლებელთა მუშაობისა და სტუდენტთა სწავლის შესახებ.

კრედიტების ტრანსფერისა და დაგროვების ევროპულ სისტემაში (ECTS) შემუშავებულია სტუდენტთა რანჟირების სკალა, რომელიც პრინციპში ემთხვევა გაუსის ნორმალურ განაწილებას: საუკეთესო სტუდენტების (ყველაზე მაღალქულიანი) რაოდენობა საერთო რაოდენოების 10%-ს არ უნდა აღემატებოდეს, შემდეგ კი საფეხურებად 25%-30%-25%-10%. რანჟირების სკალის მიხედვით, სტუდენტთა ძირითად მასას საშუალო მოსწრება უნდა ქონდეს, ძალიან მაღალი და დაბალი ნიშნები კი – სტუდენტთა შესაბამისად 10-10%-ს.

სამეცნიერო მუშაობის შეფასების სისტემა

სამეცნიერო მუშაობის შეფასებისას მნიშვნელოვანია განისაზღვროს:

რას/ვის ვაფასებთ - შესაძლებელია აკადემიური პერსონალის და/ან მეცნიერ-თანამშრომლების სამეცნიერო კომპეტენციისა და პროდუქტიულობის შეფასება; დაწესებულების სამეცნირო პოტენციალის; სამცნიერო საქმიანობისათვის აუცილებელი ინფრასტრუქტურისა და სხვა ფაქტორების შეფასება როგორც ცალცალკე, ასევე ერთად;

შეფასების კრიტერიუმები - კვლევის სფეროს სპეციფიკის მიუხედავად, შეფასების კრიტერიუმები ტრადიციულად ერთია და იგივეა, ოღონდ ცხადია, აუცილებლად უნდა იქნეს გათვალისწინებული კვლევითი სფეროს სპეციფიკა.

უნივერსიტეტების სამეცნიეო მუშაობა ტრადიციულად ფასდება შემდეგი კრიტერიუმებით:

- კვლევის შედეგი **(research output)** - პუბლიკაციები (ციტაციის კოეფიციენტი), პატენტები, და ა.შ.;

- დოქტორანტები (რიგ შემთხვევებში შეიძლება მაგისტრანტებიც ჩაითვალოს) - სტუდენტების მონაწილეობა კვლევით საქმიანობაში, ახალგაზრდა კვლევითი კადრების მომზადების სისტემის არსებობა;

- კვლევაზე მოზიდული სახსრები **(research income)** – ადგილობრივი და/ან საერთაშორისო გრანტების თუ პირდაპირი დაკვეთების ფორმით, კონფერენციები და ა.შ.;

- კვლევითი გარემო **(research environment)** - იგულისხმება სათანადო ინფრასქტრუქტურა (ლაბორატორიები, აპარატურა, საველე სამუშაოს უზრუნველყოფა და ა.შ.).

პერსონალის შეფასების სისტემა

აკადემური პერსონალის ხარისხი განისაზღვრება მისი სწავლებისა და სამეცნიერო კომპეტენციით.

სწავლების კომპეტენცია -

აკადემიური პერსონალის უპირველესი დანიშნულება სტუდენტებისათვის ცოდნის გადაცემაა. სწავლების ხარისხის დადგენისათვის რეკომენდირებულია შემდეგი კრიტერიუმების გამოყენება:

- პროგრამის ეფექტურად დაგეგმვისა და შემუშავების უნარი - იგულისხმება სილაბუსის შემუშავება, სწავლებისა და შეფასების ადეკვატური მეთოდების შერჩევა, კურიკულუმის შემუშავებაში მონაწილეობა და სხვა;

- უშუალოდ სწავლების, ანუ ცოდნის გადაცემის, მიწოდების უნარი - იგულისხმება სტუდენტების მოტივირება, მოცემული საგნით მათი დაინტერესება, სტუდენტებტან ეფექტური კომუნიკაცია, სტუდენტების სამართლიანი შეფასება და სხვა;

- დარგობრივი კომპეტენცია - საგნის ცოდნა, დარგობრივ სფეროსი მიმდინარე ცვლილებებისა და სიახლეების ცოდნა,დარგობრივი სფეროს ადგილი სხვა დისციპლინებთან მიმართებაში და სხვა;

- კურსის მართვის უნარი - იგულისხმება სასწავლო კურსის განხორციელებასთან დაკავშირებული ადმინისტრაციული მოვალეობების შესრულება, როგორიცაა მაგ. კონსულტაციები.

სწავლების კომპეტენციის შეფასებისათვის შეიძლება გამოყენებულ იქნეს შემდეგი მეთოდები:

- თვითშეფასება;
- შეფასება კოლეგების მიერ;
- შეფასება სტუდენტების მიერ;
- სტუდენტების აკადემიური მოსწრების ანალიზი;
- სილაბუსის შემოწმება;
- დასწრება მეცადინეობაზე.

სამეცნიერო კომპეტენცია -

აკადემიური პერსონალის შეფასების. კვლევითი კომპტენეციის შეფასების ტრადიციული კრიტერიუმებია:

- შესაბამისი აკადემიური ხარისხი;
- პუბლიკაციები;
- მონაწილეობა სამეცნიერო კონფერენციებში - იგულისხმება მოხსენების წარდგენა და არა უბრალო დასწრება;
- წევრობა და აქტიური საქმიანობა პროფესიულ ორგანიზაციებში;
- კვლევისათვის მოზიდული თანხების რაოდენობა - იგულისხმება გრანტებისა თუ პირდაპირი დაკვეთების სახით სამეცნიერო პროექტების განხორციელებისათვის ადგილობრივი თუ საერთაშორისო დონორი ორგანიზაციებიდან მიღებული თანხები. მნიშვნელოვანია კოლაბორაციული პროექტების გათვალისწინება - ანუ გრანტი მიღებულია სხვა სამუშაო ჯგუფთან ერთად თუ არა;
- დარგობრივი კომისიების წევრობა;
- დარგობრივი სამეცნიერო ჟურნალების რედკოლეგიის წევრობა;
- დოქტორანტების რაოდენობა/უშუალო ხელმძღვანელობით დაცული დისერტაციების რაოდენობა.

ასევე შესაძლოა სწავლებისა და სამეცნიერო კომპეტენციის გარდა მიზანშეწონილად ჩაითვალოს აკადემიური პერსონალის სხვა თვისებების შეფასებაც, მაგ. როგორიცაა:

- ნებაყოფლობითი ადმინისტრაციული მოვალეობების შესრულება - სხვადასხვა სახის კომისიებისა თუ საბჭოების (ფაკულტეტის, სადისერტაციო, უნივერსიტეტის აკადემიური თუ წარმომადგენლობითი საბჭოები და სხვა) წევრობა და მათ მუშაობაში აქტრიური მონაწილეობის მიღება;
- ადმინისტრაციული თანამდებობების დაკავება - დეკანი, საბჭოს თავმჯდომარე და სხვა;
- აქტიური ურთიერთობა დამსაქმებლებთან და სხვა სოციალურ პარტნიორებთან;
- მუშაობა სტუდენტთა ხელშემწყობ სტრუქტურებში;
- და სხვა.

პროგრამის განვითარების პროცესში დაინტერესებული მხარეების (დამსაქმებლები, აკადემიური პერსონალი, სტუდენტები, კურსდამთავრებულები) აზრის და დამოკიდებულებების კვლევა

ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის მუშაობის აუცილებელი ელემენტია უნივერსიტეტის მუშაობაში მონაწილე ყველა მხარის აზრის და დამოკიდებულებების კვლევა.

კვლევის/გამოკითხვის ობიექტებად მოიაზრება:

- სტუდენტები;
- აკადემიური პერსონალი;
- დამსაქმებლები/პოტენციური დამსაქმებელი;
- კურსდამთავრებულები;
- და სხვა.

გამოკითხვა სპეციფიკური პროცესია, რომელიც შესაბამის დარგობრივ კომპეტენციას მოითხოვს: კითხვარების შედგენა, უშუალოდ გამოკითხვის წარმოება, შედეგების რაოდენობრივი და თვისობრივი ანალიზი სათანადო მომზადების გარეშე კვლევის მაღალ ხარისხს და სანდოობას ვერ უზრუნველყოფს. შესაბამისად, სასურველია აღნიშნული ტიპის გამოკითხვების ჩატარება დაევალოს სოციოლოგებს. კვლევის დამკვეთი ხარისხის

უზრუნველყოფის სამსახურია. მან მკაფიოდ უნდა განსაზღვროს კვლევის თემა, ხოლო მისი დიზაინი შემსრულებლების პასუხისმგებლობაა.

ხარისხის უზრნველყოფის სამსახურის მიერ რეკომენდირებულია კვლევების წარმოება შემდეგი საკითხების შესწავლისთვის:

- სასწავლო პროცესის მახასიათებლები - ამ შემთხვევაში შეიძლება გამოიკითხოს როგორც სტუდენტი, ასევე აკადემური პერსონალი;
- სამეცნიერო პროცესის ეფექტურობა;
- პროგრამების რელევანტურობა შრომის ბაზრისათვის - კითხვარი დამსაქმებლებისათვის;
- სტუდენტების შიდა საუნივერსიტეტო მობილობის მიზეზები;
- უნივერსიტეტის მართვის ეფექტურობა.

კვლევების დაგეგმვისას აუცილებლად უნდა გაითვალისწინოთ სათანადო ხარჯები - კითხვარების შემუშავება, რესპოდენტების გამოკითხვა, ფოკუს ჯგუფები, ჩაღრმავებული ინტერვიუ და სხვა მეთოდები.

დანართი №2

საგანმანათლებლო პროგრამის შეფასების კრიტერიუმები

შეფასების ასპექტები	**შეფასების კრიტერიუმები**
1. ზოგადი მოთხოვნები	პროგრამა შემუშავებულია ფაკულტეტის საბჭოს და დამტკიცებულია უნივერსიტეტის რექტორის მიერ. პროგრამის ტექსტი წარმოდგენლია ბეჭდური და ელექტრონული სახით. პროგრამის ფორმა შევსებულია სრულად. წარმოდგენილია პროგრამის აღწერითი ნაწილი (განსაზღვრულია პროგრამის ხანგრძლივობა/მოცულობა, მიზანი, მისანიჭებელი აკადემიური ხარისხი/კვალიფიკაცია,სწავლის შედეგები, სწავლების ენა, პროგრამაზე დაშვების წინაპირობები, სწავლების მეთოდები, შეფასების წესი, დასაქმების სფეროები, სწავლისთვის აუცილებელი დამხმარე პირობები) და სტრუქტურა (განსაზღვრულია სასწავლო კურსები, სასწავლო კურსების კრედიტები, საკონტაქტო საათების რაოდენობა, კურსის წინაპირობები, სემესტრი, კურსის სტატუსი და ლექტორის ვინაობა). პროგრამას ახლავს ყველა კურსის სილაბუსი (ბეჭდური ან/და ელექტრონული სახით). სილაბუსების ფორმა შევსებულია სრულად (განსაზღვრულია სასწავლო კურსის დასახელება, ხანგრძლივობა, მოცულობა, საათების რაოდენობა და მათი განაწილება, არსებობის შემთხვევაში კურსზე დაშვების წინაპირობები, კურსის ფორმატი, მიზანი, სწავლის შედეგები, ძირითადი თემები, შეფასების წესი, კურსის ფარგლებში გამოსაყენებელი ლიტერატურა, თემატიკა კვირების მიხედვით).
2. პროგრამის მიზნები, დასაქმების სფეროები	პროგრამის მიზანის შეესაბამება უნივერსიტეტის მისიას. პროგრამის მიზნები შესატყვისობაშია უმაღლესი განათლების კვალიფიკაციათა ჩარჩოს შესაბამისი საფეხურის აღმწერთან. პროგრამის მიზნები მიღწევადია, ნათლად და მკაფიოდაა ფორმულირებული (ყველა დაინტერესებული მხარისათვის). პროგრამაში მკაფიოდ ჩანს სტუდენტის დასაქმების პერსპექტივა.
3. მისანიჭებელი აკადემიური ხარისხი	მისანიჭებელი აკადემიური ხარისხი შესაბამისობაშია ეროვნულ საკვალიფიკაციო ჩარჩოსთან.

4. პროგრამის სწავლის შედეგები	პროგრამის სწავლის შედეგები შესატყვისობაშია უმაღლესი განათლების კვალიფიკაციათა ჩარჩოს შესაბამისი საფეხურის აღმწერთან. კომპეტენციები გაწერილია უმაღლესი განათლების კვალიფიკაციათა ჩარჩოს შესაბამისი საფეხურის აღმწერის ექვსი კრიტერიუმის მიხედვით: ცოდნა და გაცნობიერება, ცოდნის პრაქტიკაში გამოყენების უნარი, დასკვნის უნარი, კომუნიკაციის უნარი, სწავლის უნარი, ღირებულებები. პროგრამის სწავლის შედეგები შესაბამისობაშია დარგობრივ მახასიათებელთან (დარგობრივი მახასიათებლის არსებობის შემთხვევაში). კომპეტენციები ნათლად და მკაფიოდაა ჩამოყალიბებული. აღწერის ფორმატი იძლევა მათი გაზომვის/შეფასების საშუალებას. პროგრამის სწავლის შედეგები შეესაბამება პროგრამის მიზნებს.
5. კრედიტები და სასწავლო დატვირთვა	პროგრამაში ECTS კრედიტების გამოყენება შეესაბამება „უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველ კანონს, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის „ეროვნულ საკვალიფიკაციო ჩარჩოს დამტკიცების შესახებ“ 10.12.2010 წ. №120/ნ და „უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამების კრედიტებით გაანგარიშების წესის დამტკიცების შესახებ“ 05.01.2007 წ. №3 ბრძანებებს. კრედიტები სწორად არის გადანაწილებული სწავლის შედეგებთან და სტუდენტის რეალურ დატვირთვასთან მიმართებაში
6. შეფასების წესი	პროგრამაში განსაზღრულია შეფასების სისტემა, რომელიც შესაბამისობაშია საქართველოს კანონმდებლობასთან.
7. სწავლების მეთოდები	პროგრამით განსაზღვრული სწავლების მეთოდები უზრუნველყოფს პროგრამით გათვალისწინებული შედეგების მიღწევას.
8. რესურსები	პროგრამის განხორციელებას უზრუნველყოფს სათანადო კომპეტენციის მქონე აკადემიური, მოწვეული და დამხმარე პერსონალი. არსებული ინფრასტრუქტურა, ტექნიკური აღჭურვილობა და დამატებითი რესურსები უზრუნველყოფს პროგრამით გათვალისწინებული შედეგების მიღწევას.
9. პროგრამის სტრუქტურა	პროგრამაში შემავალი კომპონენტების (კურსების/მოდულების) თანამიმდევრობა და შემდგომ კომპონენტზე დაშვების წინაპირობები ლოგიკურია. პროგრამის სტრუქტურაში გათვალისწინებულია არჩევითობა. პროგრამის სტრუქტურა მოქნილია მობილობის თვალსაზრისით.
10. პროგრამის სილაბუსები	სასწავლო კურსების მიზნები და სწავლის შედეგები ნათლად და მკაფიოდაა ჩამოყალიბებული. სილაბუსებში სწავლის შედეგები გაწერილია ზოგადი და დარგობრივი კომპეტენციების მიხედვით. მოცემულია საათების(ლექცია, სემინარი, პრაქტიკული, ლაბორატორიული სამუშაო, შუალედური შეფასება, საბოლოო შეფასება, დამოუკიდებელი სამუშაო და ა.შ.) განაწილება. ლოგიკურადაა განსაზღვრული კურსზე დაშვების წინაპირობები (წინაპირობის არსებობის შემთხვევაში) სილაბუსში გაწერილია შეფასების სისტემა, შეფასების მეთოდები, კრიტერიუმები. სასწავლო კურსის შეფასების მეთოდები და

	კრიტერიუმები ადეკვატურადაა შერჩეული შინაარსიდან და დასახული მიზნიდან გამომდინარე. სასწავლო მასალა დაფუძნებულია მიმართულების/დარგის აქტუალურ მიღწევებზე და უზრუნველყოფს სწავლის შედეგების მიღწევას. სასწავლო კურსების შინაარსი (ძირითადი თემები, თემატიკა კვირების მიხედვით), სწავლების მეთოდები და კრედიტების მოცულობა უზრუნველყოფს პროგრამით დასახული მიზნებისა და სწავლის შედეგების მიღწევას.

დანართი №3

სასწავლო კურსის შეფასების ფორმა სტუდენტის მიერ

(განკუთვნილია სტუდენტებისათვის, რომლებმაც გაიარეს სასწავლო კურსი წინამდებარე სილაბუსის მიხედვით)

გთხოვთ, სასწავლო კურსის დასასრულს შეავსოთ ეს ფორმა. ფორმა ანონიმურია. მისი შევსებისას გთხოვთ, იყოთ მაქსიმალურად ობიექტური. თქვენი გამოხმაურება დაგვეხმარება კიდევ უფრო დავხვეწოთ, შინაარსობრივად გავაუმჯობესოთ და უფრო ეფექტური გავხადოთ ამ სასწავლო კურსის სწავლების პროცესი. გმადლობთ დახმარებისათვის.

სასწავლო კურსის სახელწოდება -
სასწავლო კურსის წამყვანი პერსონალი -
სასწავლო კურსის დასაწყისშივე გავეცანი სილაბუსს - დიახ - არა
სასწავლო კურსის სილაბუსი ზუსტად ასახავდა კურსის შინაარსს - დიახ - არა
სასწავლო კურსის სილაბუსი ზუსტად ასახავდა დავალებებს - დიახ - არა
სასწავლო კურსის სილაბუსი ზუსტად ასახავდა შეფასების წესს - დიახ - არა
დავალებების სირთულე იყო სასწავლო კურსის ადეკვატური - დიახ - არა
ლექტორი ხელს უწყობდა ჩვენს აქტივობას - დიახ - არა
ლექტორი იყო ყველას მიმართ სამართლიანი - დიახ - არა
სასწავლო კურსი უზრუნველყოფილია სახელმძღვანელოებით - დიახ - არა
სახელმძღვანელოს დონე დამაკმაყოფილებელია - დიახ - არა
უნდა გაგრძელდეს ამ სახელმძღვანელოს გამოყენება - დიახ - არა
სასწავლო კურსის ხანგრძლივობა საკმარისია - დიახ - არა
ამ ლექტორს ვურჩევდი სხვებსაც - დიახ - არა
სასწავლო კურსმა მომცა საჭირო ცოდნა - დიახ - არა
სასწავლო კურსმა განმივითარა საჭირო უნარები - დიახ - არა
სასწავლო კურსი დამეხმარა ფასეულობათა ჩამოყალიბებაში - დიახ - არა
სასწავლო კურსი საჭიროა ჩემი მომავალი პროფესიისათვის - დიახ - არა
რა მოგეწონათ ყველაზე მეტად ამ სასწავლო კურსის გავლისას -
თქვენ რომ ამ სასწავლო კურსს ასწავლიდეთ, რას შეცვლიდით? -
სხვა კომენტარები -

დანართი №4

სასწავლო პროცესის შეფასების ფორმა კადემიური პერსონალის მიერ

(წინამდებარე ფორმა განკუთვნილია აკადემიური პერსონალისათვის)

გთხოვთ, სასწავლო კურსის დასასრულს შეავსოთ ეს ფორმა. ფორმა ანონიმურია. მისი შევსებისას გთხოვთ, იყოთ მაქსიმალურად ობიექტური. თქვენი გამოხმაურება დაგვეხმარება კიდევ უფრო დავხვეწოთ, შინაარსობრივად გავაუმჯობესოთ და უფრო ეფექტური გავხადოთ ამ სასწავლო კურსის სწავლების პროცესი. გმადლობთ დახმარებისათვის.

0 - ნიშნავს არა, 5-ს აუკეთესო. შემოხაზეთ შესაბამისი შეფასება. საჭიროებისამებრ გააკეთეთ კომენტარი.

წაკითხული სასწავლო კურსი _____.

საფეხური _____ სწავლების პერიოდი „____“ _____ 20__ -დან „____“ _____ 20__ -მდე

1. სასწავლო ინფრასტრუქტურა ჩემს მიერ წაკითხული კურსის ადექვატურია

0 1 2 3 4 5

კომენტარი: _____

2. სასწავლო კურსზე დაშვების წინაპირობები გასაგებია და ლოგიკურად დასაბუთებული

0 1 2 3 4 5

კომენტარი: _____

3. სასწავლო და სამუშაო გარემო კომფორტულია და სასიამოვნო

0 1 2 3 4 5

კომენტარი: _____

4. შესაძლებელია ინტერნეტით და კომპიუტერით სარგებლობა

0 1 2 3 4 5

კომენტარი: _____

5. უნივერსიტეტში არის დამოუკიდებელი მუშაობის და დასვენების შესაძლებლობა

0 1 2 3 4 5

კომენტარი: _____

6. სწავლების პროცედურებზე და მარეგულირებელ აქტებზე ინფორმაციის ხელმისაწვდომობა უზრუნველყოფილია

0 1 2 3 4 5

კომენტარი: _____

7. ბიბლიოთეკაში არის საჭირო სასწავლო მასალები, საჭიროების შემთხვევაში ადმინისტრაცია აფინანსებს და ხელს უწყობს სასწავლო მასალების შექმნას ან შეძენას

0 1 2 3 4 5

კომენტარი: _____

8. ადმინისტრაციული პერსონალი არის კეთილგანწყობილი, ცდილობენ პედაგოგის დახმარებას

0 1 2 3 4 5

კომენტარი: _____

9. ლექტორის შემოქმედებითობა მოტივირებულია. არის სწავლების პროცესისადმი ინოვაციური მოდგომების დანეგვის შესაძლებლობა

0 1 2 3 4 5

კომენტარი: _____

10. ცოდნის შეფასება ხდება გამჭვირვალედ, დამსახურებულად და სამართლიანად

0 1 2 3 4 5

კომენტარი: _____

11. პროგრამის პრაქტიკის კომპონენტი პროგრამის ადეკვატურია, იძლევა პროფესიის პრაქტიკულად დაუფლების შესაძლებლობას

0 1 2 3 4 5

კომენტარი: _____

12. სწავლების მიღმაა უნივერსიტეტის მუშაობის რეჟიმი საინტერესოა და დატვირთულია სხვადასხვა ღონისძიებებით

0 1 2 3 4 5

კომენტარი: _____

13. სასწავლო პროცესის ზოგადი შეფასება

0 1 2 3 4 5

კომენტარი: _____

14. სურვილი მაქვს კვლავ განვაგრძო სწავლება ამ უნივერსიტეტში

0 1 2 3 4 5

კომენტარი: _____